ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი #9

ქ. ცაგერი 29 მაისი, 2026 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვასილ საღინაძე
ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი;
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: მარიკა კოპალიანი, ონისე ჩაკვეტაძე;
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები: თამაზი ჭაბუკიანი, ზაზა ყურაშვილი,
ნოდარი საღინაძე, გიორგი გუგავა;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილეები:
მამუკა მამარდაშვილი, ბესიკი ჩანქსელიანი, ოთარი თვარაძე.

ფრაქცია ,,ხალხის ძალის" თავმჯდომარე: ლაშა ლეთოდიანი
ფრაქცია ,,ხალხის ძალის" თავმჯდომარის მოადგილე: ნიკა ქომეთიანი;
საკრებულოს წევრები: მურმანი თოთაძე, ჯონი ხალიანი, გორდა გვიშიანი,
მარი ბურჯალიანი, თამაზ თვარაძე, ხვიჩა ჩხეტიანი,
ბერდია კვირიკაშვილი, კახა ყურაშვილი;

საკრებულოს აპარატის უფროსი: თამთა ონიანი
საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნინო მეგრელი

დღის წესრიგი

განკარგულება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების განხორციელების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

სხდომის თავმჯდომარემ - ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

განკარგულება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების განხორციელების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 24
წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების განხორციელების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების განხორციელების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ, აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მომზადება განპირობებულია შემდეგი გარემოებით: ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების დანართი №1 სამარშუტო სქემაში 22-ე პუნქტი ჩამოყალიბებული იქნას თანდართული რედაქციით.

განკარგულების მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას. განკარგულების პროექტის მიღებით სხვადასხვა მიმართულებაზე სატრანსპორტო მომსახურება განისაზღვრა ავტობუსებითა და მიკროავტობუსებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 24
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების განხორციელების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ვასილ საღინაძე